



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

30 ოქტომბერი 2025



N 674/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მარნეულის მუნიციპალიტეტში, შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ის 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს, მარნეულის მუნიციპალიტეტში, შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ის 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N63;
2. შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“ ვალდებულია საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N63 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო